ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის მაისის 1	№ 10 განყოფილება პირველი	ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 84. პროფესიონალური სახანძრო რაზმების მომუშავეთათვის ნამსახური წლების მიხედვით სამუშაო ხელფასის პერიოდულად მომატების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

85. სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალის მოწყობის შესახებ.
86. 1932 წელს სამებადურო ნავჭურჭლებისა და საჭერი იარაღის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.
87. ტრაქტორისტების შრომის სასყიდლის შესახებ.
88. „უცხოეთიდან ა/კსფსრ-ში ბამბის მავნებელთა გადმოსვლის საწინააღმდეგოდ ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე კარანტინის დაწესებისა და ნახიჩევანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლოვანი ჭიის სალოკალიზაციო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 1-ის დადგენილების მე-5 მუხლისა და მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

89. „მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 9-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.
90. „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მარტის 20-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.
91. საგაზაფხულო თესვისათვის ფართობების განმზადების მსვლელობისა და თესლით უზრუნველყოფის შესახებ.
92. ა/კსფსრ-ში 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს საბამბე მინდვრებზე მინერალური სასუქის გამოყენების შესახებ.
93. მშენებლობაში გაადვილებული კონსტრუქციის ახალი საშენი მასალის ხმარების შთანერგვის მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

84. პროფესიონალური სახანძარო რაზმების მომუშავეთათვის ნამსახური წლების მიხედვით სამუშაო ხელფასის პერიოდულად მომატების შესახებ.

პროფესიონალური კომუნალური სახანძარო ორგანიზაციების პირადი შედგენილობის დენადობის მოსპობისა, მათი საბრძოლო უნარიანობის ამაღლებისა და აგრეთვე კომუნალურ სახანძარო რაზმებში მუშაობის სიძნელეთათვის ყურადღების მიქცევის მიზნით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1932 წ. იანვრის 1-დან პროფესიონალური კომუნალური სახანძარო რაზმების სამწყობრო შედგენილობისა, უმცროს და საშუალო საკომანდო შედგენილობის მომუშავეთათვის სამუშაო ხელფასის სამი პერიოდული მომატება ნამსახური წლების მიხედვით: პროფესიონალურ სახანძარო რაზმში სამი წლის შეუწყვეტელი სამსახურისათვის—ძირითადი სათანამდებობო ჯამაგირის 15%-ისა, ექვსი წლისთვის—20%-ისა და 9 წლისთვის 25%-ის რაოდენობით.

შენიშვნა. აღნიშნული მომატება არა ვრცელდება იმ პირებზე, ვინც სამუშაო ხელფასს პასუხმგებელ მომუშავეთა ტარიფით იღებს.

2. ნამსახური წლების მიხედვით სამუშაო ხელფასის მომატების მიღების უფლება აქვთ აგრეთვე იმ პირთ, ვინც პროფესიონალური კომუნალური სახანძარო რაზმის სამსახურში იმყოფება 1932 წლის იანვრის 1-თვის და შეეფერება ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირობებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. ნოემბრის 16.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

85. სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რათა:

ა) მოეწყოს ბაზისი საბამბე ორგანიზაციების გეგმიანი მუშაობისათვის წმინდა ჯიშიანი მაღალხარისხოვანი სათესლე ფონდის შექმნის საქმეში და მისი ღირსება მუდამ მაღლა იდგეს,

ბ) განისაზღვროს ბამბის პროდუქციის თვისების რაიონული და სეზონური ცვალებადობის ხასიათი—რაც შეიძლება მისი უფრო რაციონალურად გამოყენებისა და ამ თვისებათა მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის შემდგომი გადამუშავების დროს და საფეიქრო მრეწველობაში შეგუებისათვის,

გ) გამოირკვეს რაციონალიზაციის მეშვეობით საბამბე მეთესლეობა,

დ) დამყარდეს ბამბის პროდუქციის, როგორც ნედლეულისა, ისე მისგან მინაღები ბოჭკოს, თესლის და ნარჩენის ერთნაირი და ობიექტური შეფასება,

ე) დამუშავდეს მასალები ნედლი ბამბის და თესლის სტანდარტიზაციის ხაზით,

ვ) გაუმჯობესდეს მეთოდიკა ბამბის პროდუქციისა და სათესლე ფონდის თვისებათა შეფასების სალაბორატორიო და სამინდვრე მეთოდებისა,—

საჭიროდ იქნეს ცნობილი ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალის მოწყობა.

2. სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალის დასაყრდენი პუნქტები მოეწყოს შემდეგ ბამბასაწმენდ ქარხნებთან:

ა) ერივანის ქარხანასთან—მომსახურეობის გასაწევად მთლად სომხეთისათვის;

ბ) განჯის ქარხანასთან—მომსახურეობის გასაწევად ყაზახისა, განჯისა, ყასუმ-ისმაილისა, აქსტაფისა, თაუზისა და შამხორის რაიონებისათვის;

გ) ევლახის ქარხანასთან—მომსახურეობის გასაწევად ბარდის, ტერტერის, აღჯაბედის, აღდამის, აღდაშის, გოქჩის, ქურდამირის, უჯარის და ყარასუს რაიონებისათვის;

დ) საბირაბადის ქარხანასთან—მომსახურეობის გასაწევად ყარადონლისა და ყოფ. სალიან-მუღანის რაიონებისათვის;

ე) ბორჩალოს დასაყრდენი პუნქტი შულავრის ბამბასაწმედ ქარხანასთან—მომსახურეობის გასაწევად მთლად საქართველოსათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. მებამბეობის შენაერთს—გადასცეს ერთი დეკადის ვადაზე სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალს ა/კ. მებამბეობის შენაერთის საკონტროლო-სათესლე განყოფილება და ბამბასაწმენდ ქარხნებთან არსებული საქარხნო ლაბორატორიები—მთლად მათ შესანახად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებული სახსარით, მათი ქონებით იმ მდგომარეობის კვალობაზე, რაც გადაცემის დღეს იქნება, და მათში ამჟამად მოსაქმე მომუშავეთა კადრით.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევო საბამბე ინსტიტუტს—გადასცეს ერთი დეკადის ვადაზე სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალს მოსავლის პროგნოზის სექტორი ყველა მომუშავით და მის შესანახად გადადებული სახსარით იმ მდგომარეობის კვალობაზე, რაც გადაცემის დღეს იქნება.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაამტკიცოს ერთი დეკადის ვადაზე დებულება სახელმწიფო საბამბე ინსპექციის ამიერკავკასიის ფილიალის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აპრილის 9.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

86. 1932 წელს სამებადურო ნავჭურჭლებისა და საჭერი იარაღის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წლის თებერვლის 29-ის დადგენილების მე-4 მუხლის შენიშვნის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-17 №-ი, მუხ. 96) უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეამცირონ და გაადიდონ ხოლმე არა უმეტეს, ვიდრე 20%-ით სადაზღვევო საზღაური ინდივიდუალურ მეურნეობათა ნავჭურჭლების დაზღვევისათვის.

2. იმავე დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად განსაზღვრულ იქნეს სადაზღვევო გადასახადის შეტანის შემდეგი ვადები:

ა) კოლექტიურმა მეურნეობებმა და სხვა პირველადმა კოოპერატივებმა სადაზღვეო გადასახადი უნდა შეიტანონ არა უგვიანეს 1932 წ. ივლისის 1-სა;

ბ) ინდივიდუალურმა მეურნეობებმა—არა უგვიანეს 1932 წ. აპრილის 20-სა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აპრილის 9.
№ 474.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

87. ტრაქტორისტების შრომის სასყიდლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც ა/კსფსრ-ის პირობებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, როგორც საერთო წესი, მომსახურეობას უწევენ მთელი რიგი კოლექტიური მეურნეობების მინდვრებს და, აგრეთვე, რადგანაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ბრიგადები თავმოყრილია უმთავრესად ტეხნიკური კულტურების რაიონებში,— ტრაქტორისტების სასყიდლის ნატურალური ნაწილის გაცემა თავმოყრილ იქნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

ამ მიზნით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან შეიქმნას სპეციალური ფონდები.

2. წინადადება მიეცეს დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირს გადარიცხონ აღნიშნულ ფონდში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოქმედების რაიონებში შესაზიდი მარცვლეულის $1^1/_2$%-ი და სამრეწველო საქონლის 1%-ი.

სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირმა ერთი კვირის ვადაზე უნდა მისცეს სათანადო დირექტივები ადგილებს.

3. დაევალოს ა/კ. ტრაქტორცენტრს—ჩაატაროს ორკვირეული სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და ტრაქტორისტებს შორის არსებულ ვალდებულებათა აღსრულების შემოწმებისათვის და ამ მუშაობაში ჩააბას რაიონისა და სოფლის საზოგადოებრიობა.

4. დაევალოს ა/კ. ტრაქტორცენტრს—ისე მოაწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ბრიგადების მუშაობა, რომ კოლმეურნე-ტრაქტორისტები არ ჩამოშორდნენ თავიანთი კოლექტიური მეურნეობების სამყოფელი ადგილის რაიონს.

5. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს—პირადებით აღმოფხვრას ტრაქტორისტების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაქირავებულ მუშებად გადაქცევა, რაც აქამდე პრაქტიკად იყო შემოღებული.

6. ვინაიდან ტრაქტორისტებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს—შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე, ა/კ. სამომხმარებლო-საგამსაღებლო ტრესტთან და სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირთან ერთად, ღონისძიებანი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დასაწყისშივე სატრაქტორო ბრიგადების კარვებით, ბაკებით, სამინდვრე სამზარეულოებებით და სპეცტანისამოსით უზრუნველსაყოფად. ამავე ვადაზე ა/კ. ტრაქტორცენტრმა უნდა იხმაროს ღონისძიებანი სპეციალური მოძრავი ღამისათევი ვაგონების შექმნისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. სალარიძე.**

1932 წ. მაისის 15.
№ 476.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

88. „უცხოეთიდან ა/კსფსრ-ში ბამბის მავნებელთა გადმოსვლის საწინააღმდეგოდ ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე კარანტინის დაწესებისა და ნახიჩევანის სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლოვანი ჭიის სალოკალიზაციო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 1-ის დადგენილების მე-5 მუხლისა და მე-7 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-5 მუხლი და მე-7 მუხლის „ა“ პუნქტი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 1-ის დადგენილებისა „უცხოეთიდან ა/კსფსრ-ში ბამბის მავნებელთა გადმოსვლის საწინააღმდეგოდ ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე კარანტინის დაწესებისა და ნახიჩევანის სსრ-ის და სომხეთის სსრ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეკლოვანი ჭიის სალოკალიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. უცხოეთში წარმოშობილი ბამბის გატარება ა/კსფსრ ტერიტორიაზე სწარმოებს სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორის საკარანტინო სასამხეროს მიერ საამისოდ გამოცემული და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისამებრ, რაც აუცილებლად უნდა შეასრულოს ა/კ. რკინის გზების დირექციამ“.

„მე-7 მუხლის „ა“ პუნქტი.—აიკრძალოს მარტის 1-დან დეკემბრის 1-დე სპარსეთიდან, სომხეთის სსრ-დან და ნახიჩევანის სსრ-დან სსრკ-ის საბამბე რაიონებში მე-3 მუხლით გათვალისწინებული საბამბე ტვირთის შეზიდვა სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის საკარანტინო სამმართველოს უნებართვოდ“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აპრილის 23.
№ 477.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

89. „მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 9-ის დადგენილების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მოადგილის ამხ. მელქუმიანისა, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ერემიანისა და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კ. პროკურატურისა, აზერბაიჯანის სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა, სომხეთის სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირის წარმომადგენელთა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს „მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 9-ის დადგენილების აღსრულება,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1. თუმცა საკმარისმა ვადამ გაიარა, რაც გამოქვეყნდა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. სექტემბრის 5-ის დადგენილება და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილება, და რაც სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიაწოდა მომარაგების სახალხო კომისარიატს, საკოლმეურნეო ცენტრს და სხვა ორგანოებს კონკრეტული დირექტივები(1932 წ. იანვრის 9-ს) აღნიშნული დადგენილებების ა/კსფსრ-ში განხორციელების შესახებ,—მაინც პარტიისა და მთავრობის დირექტივები მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე აღსრულებული არ არის ა/კსფსრ-ში.

2. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა (ამხ. პევცოვმა) და სამომხმარებლო კოოპერაციის ა/კ. კავშირმა (ამხ. ლაპტევმა) არ შეასრულეს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 9-ის დადგენილება „შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილების შესაბამისად მასწავლებლობის მომარაგებისათვის საჭირო ფონდების გამოყოფის შესახებ“; სრულად არ არის გამოყოფილი სამრეწველო საქონლის დამატებითი ფონდი 1.000.000 მანეთისა (გამოყოფილია 500 სულისათვის) და მიღებული არ არის ღონისძიება რესპუბლიკებში მომარაგების ფონდების ფაქტიურად გამოყოფისა და ადგილებზე მომხმარებლამდე—მასწავლებლამდე—საქონლის მიწვდენის შემოწმების ორგანიზაციისათვის.

3. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა (ამხ. ვეზიროვმა) და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა (ამხ. ავისმა) არ გასცეს დირექტივები საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების ხაზით შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 28-ის დადგენილების შესაბამისად „თავიანთ სისტემებში მასწავლებლების მომარაგების წესის შესახებ“.

ა/კსფსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ერემიანის განცხადება, რომ მან უკვე იხმარა ღონისძიებანი მასწავლებლებისადმი სამუშაო ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციისათვის. ამასთან ერთად აღინიშნოს, რომ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 9-ის გადაწყვეტილება მასწავლებლებისადმი სამუშაო ხელფასის დავალიანების ერთი თვის ვადაზე ლიკვიდაციის შესახებ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა არ შეასრულა.

2. დადასტურებულ იქნეს ა/კ. პროკურატურისა და საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების პროკურორების ღონისძიებანი შემდეგ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ:

ა) ტყიბულის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგისა—მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის ფონდის სხვა მიზნებზე დახარჯვისათვის;

ბ) ხარაგოულის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგისა—ამავე ფონდის სხვა მიზნებზე დახარჯვისათვის;

გ) ვანის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და საფინანსო განყოფ. გამგისა;

დ) ახმეტის სასოფლო საბჭოს (ტფილისის რაიონი), სანოპის სასოფლო საბჭოს (სიღნაღის რაიონი) თავმჯდომარეებისა—მასწავლებელთა სამუშაო ხელფასის გაცემის დაგვიანებისათვის;

ე) ზესტაფონისა და ჭიათურის მუშათა კოოპერატივების გამგეობებისა—მასწავლებელთათვის დანიშნული სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდების სხვა მიზნებზე განბნევისათვის;

ვ) სამტრედიის მუშათა კოოპერატივის გამგეობისა—მასწავლებლებზე საქონლის გაცემის დროს უვარგისი საქონლის იძულებითი დატვირთვით განაღდებისათვის.

მიიქცეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყურადღება აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის უმოქმედობაზე.

წინადადება მიეცეს ა/კ. პროკურორს ამხ. დოლიძეს—მოაწყოს საზოგადოებრივი საჩვენებელი პროცესები იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც დამნაშავეა პარტიისა და მთავრობის მიერ მასწავლებლობის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა შეუსრულებლობაში.

3. მიენდოს ა/კ. პროკურორს—გამოიძიოს საქმე, რომელიც გაშუქებული იყო გაზ. საქართველოს „კომუნისტი“-ს შენიშვნაში თელავის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ბუხჰალტრის მიერ მასწავლებლობის მასხარად აგდების თაობაზე.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ მასწავლებლების მატერიალური და საყო-

ფაცხოვრებო მდგომარეობის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების შესრულების ჩაშლისათვის საკმარისად პასუხმგებელ არიან საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარენი, რომლებმაც, იმის ნაცვლად, რომ მოეწყოთ ადგილებზე აღნიშნულ დადგენილებათა აღსრულების საქმე, გამოიჩინეს სრული გულგრილობა მასწავლებლობის მდგომარეობისადმი.

5. მიენდოს სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. იანვრის 9-ის დადგენილების აღსრულება რესპუბლიკებსა და განსაკუთრებით რაიონებში.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. აპრილის 11.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

90. „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის თაობაზე" გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მარტის 20-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სრულიად საკავშირო შენაერთის ამიერკავკასიის კონტორამ თავის დროზე იხმარა ღონისძიებანი სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის მომზადებისა და ჩატარებისათვის (აპარატურა, შხამები და ტეხნიკური პერსონალი) სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მარტის 20-ის დადგენილების შესაბამისად; ხოლო რაც შეეხება დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციებს, მათ ვერ გამოიჩინეს საჭირო თანაგრძნობა, აღლო და იმის შეგნება, თუ რა მნიშვნელოვანია ბრძოლა მავნებლებთან სოციალისტური მოსავლის დაცვისათვის:

ა) ა/კ. მებამბეობის შენაერთის მმართველმა ამხ. ტოლსტოპიატოვმა, რომელიც, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მარტის 20-ის დადგენილების თანახმად, პერსონალურად მოვალე იყო ხუთი დღის ვადაზე დაედვა მავნებლებთან ბრძოლის შენაერ-

თის ა/კ. კონტორასთან ხელშეკრულება ინდივიდუალურ და საკოლმეურნეო სექტორში მავნებლებთან ბრძოლის წარმოების შესახებ, გააჭიანურა ამ დადგენილების აღსრულება და აქამდე ხელშეკრულება არ დაუდვია;

ბ) „სოიუზტაბაკ"-ის ამიერკავკასიის განყოფილების მმართველმა ამხ. სუკოიანმა, რომელიც, ა/კ. სამხარეო კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, მოვალე იყო მარტის 25-თვის დაედვა მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. კონტორასთან ხელშეკრულება თამბაქოს მავნებლებთან ბრძოლის წარმოების შესახებ, გააჭიანურა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, დაგვიანებით მოაწერა მას ხელი და ამით საფრთხეში ჩააგდო ნარგავი თამბაქოს მოსავლის ღირსება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს ამხ. ტოლსტოპიატოვის საყურადღებოდ, რომ მან არ შეასრულა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. მარტის 20-ის დადგენილება საბამბე მეურნეობაში მავნებლებთან ბრძოლის შესახებ.

2. მიენიშნოს ამხ. სუკოიანს, რომ მან დააგვიანა „სოიუზტაბაკ"-ის მხრით ხელშეკრულების დადება მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. კონტორასთან, რითაც საფრთხეშია ჩაგდებულია ნარგავი თამბაქოს მოსავლის ღირსება.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „საქართველოს ჩაი"-მ თავის დროზე დასდვა ხელშეკრულება.

4. წინადადება მიეცეს მავნებლებთან ბრძოლის შენაერთის ა/კ. კონტორას, ამხ. ანტონოვის სახით, შეუდგეს ა/კ. ხილბოსტანკავშირის და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის ხელშეკრულებების აღსრულებას და ნუ დაუცდის სადავო საკითხების გადაწყვეტას. ამასთან ერთად მან და ა/კ. ხილბოსტანკავშირმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა უნდა დააყენონ სათანადო ორგანოებში საკითხი სადავო საკითხების გადაწყვეტის დაჩქარების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. აპრილის 11.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

91. საგაზაფხულო თესვისათვის ფართობების განმზადების მსვლელობისა და თესლით უზრუნველყოფის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. პოტერიახინის მოხსენება და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარია-

ტის წარმომადგენლის ამხ. თაღიევისა, ა/კ. ტრაქტორცენტრის წარმომადგენლის ამხ. რასულ-ზადეს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის წარმომადგენლის ამხ. ავისის განმარტებანი საგაზაფხულო თესვისათვის ფართობების განმზადებისა და თესლით უზრუნველყოფის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ:

ა) თუმცა უკანასკნელ ხანს (აპრილის დასაწყისში) მოხვნის სვლა რამდენადმე გაძლიერდა, მაინც მინდვრების მოხვნის ტემპები აშკარად არადამაკმაყოფილებელია და არ შეეფერება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ საგეგმო ვადებს;

ბ) სათესლე ბალანსის შედგენის დროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ანგარიშში არ მიიღო ხელთქონებული სათესლე რესსურსები, არ განსაზღვრა განთესვის მტკიცე ნორმები და არ გაითვალისწინა თესლის ეკონომია ფონდური თესვის შეფარდების დროს (საქართველოში განთესვის ნორმად 1 ჰექტარზე, ნაცვლად 1,2-დან 1,3 ცენტნერამდე, დაწესებულია 1,8-დან 2,6 ცენტნერამდე);

აღსრულებული არ არის აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება თესლის დაგროვების შესახებ, ე. ი. 1932 წ. მარტის 10-თვის;

გ) ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, ა/კ. ტრაქტორცენტრმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა არ შექმნეს მუდმივი ხელმძღვანელობა, ხოლო რესპუბლიკანური ტრაქტორცენტრები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები და რესპუბლიკების საკოლმეურნეო სისტემა დაუდევრად მოეკიდნენ ხელთქონებული სატრაქტორო პარკის გამოყენებას და სავსებით დატვირთვას მთელი დღის განმავლობაში, ორცვლადი მუშაობის შემოღებას და სათბობი მასალით უზრუნველყოფის საქმეს; აგრეთვე ცოცხალი საწევი ძალის გამოყენებაში საქმე მინებებულ იქნა თვითდენაზე (ყურდუქლისა, ვაგარშაფათისა, ყამარლისა, ნორაშნისა, გოქჩისა და სხვა რაიონებში). ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, იმის ნაცვლად, რომ მოეხდინათ მათ განკარგულებაში ქონებული ყველა საწარმოო საშუალების მობილიზაცია და რაციონალურად გამოეყენებინათ იგი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის,—გააჩაღეს უქმი მიწერმოწერა ზემდგომ ორგანიზაციებთან; ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 23 საბჭოთა მეურნეობა არ იქნა მოქცეული სათბობი მასალით მომარაგების გეგმაში და თავის დროზე არ დაიდვა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებსა და კოოპერაციის სისტემას შორის ხელშეკრულებები სათბობი მასალით მომარაგების თაობაზე, ხოლო 26 სამანქანო-სატრაქტორო სადგურს სრულიადაც არ დაუდვია ხელშეკრულება.

ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს დღემდე არ შეუდგენია საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ წყალსამეურნეო სამუშაოთა ოპერატიული გეგმა.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ვეზიროვს—დაადვას უშუალოდ გადასახდელი საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების იმ დირექტორებს, რომელნიც საზიზღრად მოეკიდნენ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ნიადაგის მომზადების გეგმის აღსრულების საქმეს და აცნობოს ეს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას.

2. მიიქცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიების ყურადღება იმ გარემოებას, რომ საკმარისად შესრულებული არ არის ბამბის გადარგვის გეგმები სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის გეგმასთან შედარებით, კერძოდ, რომ სარდარაბადის საბჭოთა საბამბე მეურნეობაში გეგმა მთლად ჩაშლილია.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ პასუხისგებაში მიცემულ არიან სატრაქტორო პარკის სათბობი მასალით არადამაკმაყოფილებლად მომარაგების საქმეში დამნაშავენი.

4. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—სასწრაფოდ შეამოწმონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმების აღსრულება ცალკეული კულტურების ხაზით.

5. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მორიგ სხდომაზე შემოწმებულ იქნეს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მზადყოფა საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. აპრილის 11.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

92. ა/კსფსრ-ში 1932 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს საბამბე მინდვრებზე მინერალური სასუქის გამოყენების შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა—ამხ. პოტერიახინის, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა—ამხ. ახმედოვის, ა/კ. ტრაქტორცენტრისა—ამხ. რასულ-ზადეს, ა/კ. სამბამბე საბჭოთა მეურნეობების

ტრესტისა—ამხ. ზადრას ცნობა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს ბამბის მინდვრებზე მინერალური სასუქის შეტანისა და გამოყენების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1. მინერალური სასუქის შემოზიდვის და ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებზე და საბამბე ქარხნებზე განაწილების გეგმები ა/კ. მებამბეობის შენაერთისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა და ა/კ. ტრაქტორცენტრის მიერ შედგენილია და ადგილებისათვის დაგზავნილი მხოლოდ თებერვლის ნახევარში. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა როდი უზრუნველჰყო ხელმძღვანელობა და კონტროლი გეგმების ადგილებამდე თავის დრდზე მიწვდენისათვის.

2. სასუქით გაპატიებული ფართობების რაოდენობის განსაზღვრის დროს ა/კ. საბამბე საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა (მმართველი ამხ. ზადრა) ოთხჯერ შესცვალა ფართობთა ციფრი, რამაც გამოიწვია მინერალური სასუქის განაწილების გეგმების არაერთხელ შედგენა ხელახლად, უსწორმასწორო (შემხვედრი) გადაზიდვები და გაადიდა ზედნადები ხარჯები 10.000 მანეთამდე, იმის გარდა, რომ სარკინისგზო ტრანსპორტი გადაიტვირთა და თვალსაჩინოდ დაგვიანდა ადგილებზე ქიმიური მარილების მიზიდვა.

ამასთან ერთად, იმ დროს, როდესაც სუპერფოსფატი მწვავე საჭიროებას შეადგენდა, ალაზნის საბჭოთა მეურნეობამ მიღებული სუპერფოსფატი 18 ვაგონის რაოდენობით გადაგზავნა ქიმიური ქარხნის ადრესით უკრაინაში.

3. ა/კ. საბამბე ტრესტი (მმართველი ამხ. ოვანესიანი) და ა/კ. საბამბე საბჭოთა მეურნეობების ტრესტი (მმართველი ამხ. ზადრა) არ მოემზადნენ მინერალური სასუქის მიღებისა და შენახვისათვის, არ შეასრულეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ტარა-ტომრების მობილიზაციის შესახებ და მიანებეს, რომ მინერალური სასუქი ვაგონებიდან გადმოეყარათ პირდაპირ მიწაზე და ასე დარჩენილიყო ცის ქვეშ (მილის და სარდარაბადის საბჭოთა მეურნეობები, სარდარაბადისა, სალიანისა და სხვა საბამბე ქარხნები).

4. ა/კ. ტრაქტორცენტრმა (მმართველი ამხ. რასულ-ზადე) როდი უზრუნველჰყო სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზატორული როლი მინერალური სასუქის თავის დროზე საბამბე ქარხნებიდან გამოზიდვისა და კოლექტიური მეურნეობების მინერალური სასუქის გამოყენების ხაზით (ა/წ. აპრილის 1-თვის გამოზიდულია: სუპერფოსფატის 46,6% და სულფატ-ამონიის 32,2%; შარშანდელ ნარევთა ნაშთი დარიგებულია 20,5%-ის რაოდენობით).

ამისდამიხედვით, აღნიშნავს-რა მინდვრების სასუქით გაპატიების კამპანიის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრის მმართველს ამხ. რასულ-ზადეს, მისი პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ მოაწყოს საბამბე ქარხნებიდან და შემსყიდველ პუნქტებიდან მინერალური სასუქის გამოზიდვა და ეს დაამთავროს აპრილის 20-თვის.

2. გაფრთხილებულ იქნენ საბამბე რაიონების სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, რომ როგორც ახლად შეზიდული, ისე წინა წლებიდან დარჩენილი მინერნლური სასუქის კოლექტიურ მეურნეობებში გამოყენება იგულისხმება როგორც საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩაშლა და დამნაშავენი მიცემულ იქნებიან მკაცრ პასუხისგებაში.

3. მიენიშნოს ა/კ. საბამბე საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველს ამხ. ზადრას, რომ მან სუსტი ხელმძღვანელობა გაუწია საბჭოთა მეურნეობებს მინდვრების სასუქით გაპატიების კამპანიის საქმეში, რომ საბჭოთა მეურნეობები მომზადებულ არ იქნენ მინერალური სასუსქის მიღებისა და შენახვისათვის, რომ წრესგადასული მერყეობა გამოიჩინა მინერალური სასუქით გასაპატიებელი ფართობების განსაზღვრის საქმეში, რამაც გამოიწვია ნამეტანი ზედნადები ხარჯები, უსწორმასწორო (შემხვედრი) გადაზიდვები და სარკინისგზო ტრანსპორტის გადატვირთვა.

4. აღინიშნოს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობის წევრის ამხ. ომაროვის საყურადღებოდ მისი უმოქმედობა საკოლმეურნეო სისტემის ხაზით მინდვრების გაპატიების კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში.

5. გამოეცხადოს საყვედური სარდარაბადის საბამბე საბჭოთა მეურნეობის დირექტორს გევორქიანს სადგურიდან მინერალური სასუქის არა თავის დროზე გამოყიდვისა და ნაყარის სახით დაგზავნისათვის რკინის გზის ლიანდაგის ხაზით.

6. ალაზნის საბჭოთა მეურნეობის მიერ 18 ვაგონი მინერალური სასუქის გადაგზავნის საკითხი განხილულ იქნეს დამატებით მორიგ სხდომაზე, საქმის გამოკვლევისა და კონკრეტულ დამნაშავეთა გამოაშკარავების შემდეგ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. აპრილის 11.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

93. მშენებლობაში გაადვილებული კონსტრუქციის ახალი საშენი მასალის ხმარების შთანერგვის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. შახსუვარიანის ცნობა მშენებლობაში გაადვილებული კონსტრუქციის ახალი საშენი მასალის ხმარების შთანერგვის მსვლელობის შესახებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენლის ამხ. ჭელიძისა, ამიერკავკასიის გეოლოგიურ-საძიებლო ტრესტის წარმომადგენლის ამხ. ხვედელიძისა, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ილინას, ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის წარმომადგენლის ამხ. ეპიტაშვილისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. პრეობრაჟენსკისა და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლის ამხ. კრანცის განმარტებანი,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს:

1. მიუხედავად სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური საკონტროლო კომისიიის და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არაერთი გახსენებისა, რომ საჭიროა მშენებლობაში შთანერგილ იქნეს გაადვალებული კონსტრუქციის ახალი საშენი მასალის და ადგილობრივი მასალის ხმარება, მაინც, ა/კსფსრ მშენებელი და სამშენებლო ორგანიზაციების მომუშავეთა სიზანტისა და კონსერვატიზმის გამო, ორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ნელი ტემპით იშლება.

2. ახალი საშენი მასალის წარმოებისათვის ვარგისი არასამადნო წიაღისეულის ნედლეულობის მარაგის აღმოჩენის საქმე გეოლოგიურ-საძიებლო ტრესტს მეტისმეტად არადასაკმაყოფილებლად მიჰყავს (თუმცა 1931 წელს სწარმოებდა მუშაობა აზბესტისა, დიატომიტისა, ქვაკირისა და მინქაფის მოპოებისათვის, მაგრამ აქამდე მათი მარაგი გამორკვეული არ არის).

1932 წლის სამუშაოთა გეგმაში საშენი მასალისათვის საჭირო ნედლეულის ძიებლობა სრულიად არ არის გათვალისწინებული. არ არის შედგენილი ნედლეულის საბადოების დარაიონების რუკა.

3. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს აქამდე არ უხმარია ღონისძიება ხისა და აზბო-ცემენტის მილებისათვის ნედლეულის ბაზისის გამოსარკვევად და წარმოების მოსაწყობად.

4. ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტმა და საშენი მასალის ინსტიტუტის ა/კ. განყოფილებამ როდი უზრუნველჰყვეს თავიანთი მუშაობით ახალი მასალის მრეწველობის დაჩქარებით გაშლა (თუმცა ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტმა 1931 წელს გადასცა სათანადო ორგანიზაციებს ლერწმეული, გაჯ-თაბაშირისაგან ჩამოსხმული ფილაქნებისა, წყალუჟვენი სახურავებისა და მინქაფაკირეული ბლოკების წარმოების და გამოყენების რეცეპტები).

1931 წლის თემატიური გეგმები (ახალი საშენი მასალის ნაწილი) შესრულებული არ არის; საშენი მასალის ინსტიტუტის ა/კ. განყოფილების 1932 წლის თემატიური გეგმა, რაც დიდის დაგვიანებით იქნა დამტკიცებული—1931 წ. თებერვლის 26-ს, არ ითვალისწინებს ახალი საშენი მასალის მოპოების სამუშაოებს (ზოგიერთი შემკვრელი ნივთიერების შესახები სამუშაოს გარდა), ხოლო ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტს სულაც არა აქვს 1932 წლის დამტკიცებული გეგმა; ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტი და საშენი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალის ინსტიტუტი სრულიადაც არ უწევენ ხელმძღვანელობას თავიანთ რესპუბლიკანურ ფილიალებს; მათ არა აქვთ კავშირი წარმოებასთან და აგრეთვე მათ მუშაობაში თავს იჩენს პარალელიზმი (მუშაობა ბეტონისა და თაბაშირის ჯგუფების ხაზით).

5. თუმცა უკანასკნელ ხანს სამშენებლო ორგანიზაციებს (აზმშენი, ა/კ. წყალთა მეურნ. სამმ.) ეტყობათ ამოძრავება ახალი მასალების წარმოებისა და გამოყენების საქმეში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ა/კსფსრ პირობებში, მაგრამ მაინც სამშენებლო ორგანიზაციები და დაწესებულებები, მაგალითად, რესპუბლიკანური სოფმშენი, ა/კ. მრეწმშენი, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრი, სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველო, საქმშენი ჯერ კიდევ არასაკმარისად ანხორციელებენ მუშაობას ახალი საშენი მასალის ხმარების შთანერგვისათვის (ძალიან სუსტად არის განვითარებული უცემენტო ბლოკებისა, თიხაკალცინირებული ბლოკებისა და გაჯთაბაშირისაგან ჩამოსხმული ფიქალების წარმოება და აგრეთვე მინქაფა-ტინობის გამოყენება.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ა) წინადადება მიეცეს ა/კ. გეოლოგიურ-საძიებლო ტრესტს (ამხ. ხვედელიძე)—გააძლიეროს მუშაობა მშენებლობისთვის ვარგისი არასამადნო წიაღისეულის (აზბესტი, ტრეპელი და მინქაფა საქართველოს და აზერბაიჯანში) ძიებლობის სფეროში როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ასსიგნებით, ისე დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით;

ბ) დაამთვროს ორი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ დარაიონების რუკის შედგენა.

2. ა) მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა სსრკ-ის სხვა რაიონებიდან თაბაშირის (გიფსის) შემოზიდვის მოსპობის მიზნით, უნდა გამოარკვიოს საექსპლოატაციოდ უფრო რენტაბელური თაბაშირის ქვის საბადო (ადგილობრივი), უმოკლეს ვადაზე განსაზღვროს თაბაშირის ქვის მარაგი ა/კსფსრ-ში და იხმაროს ღონისძიებანი მისი დაუყოვნებელი ექსპლოატაციისათვის;

ბ) წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს—წარმოადგინოს ორი დეკადის ვადაზე აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში მოხსენება ტფილისისა და ერივანის ხელოვნური ქვების ქარხნების ექსპლოატაციის დაწყების კონკრეტული ვადების შესახებ და დიდრონი საბლოკო ქვების წარმოების პროგრამა მიმდინარე სამშენებლო სეზონის უზრუნველსაყოფად.

3. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა უნდა წარმოუდგინოს ორი დეკადის ვადაზე აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მოხსენება ხისა და აზბო-ცემენტური მილების წარმოებისათვის საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ა/კ. ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორს ამხ. იორამაშვილს და საშენი მასალის ინსტიტუტის ა/კ. განყოფილებაში ამხ. თავ-

ბერიძეს—დაიმუშაონ და გადასცენ 1932 წელს საშენი მასალის მრეწველობას სამუშაოები ეფექტიური საკედლე მასალებისა (ბლოკები და სხვ.), გაჯ-თაბაშირის სატიხრო და შემოსაკრავი მასალებისა და საბეტონო მასალების (ასფალტი, კირეები—ნავთიანი მიწა) დამზადებისათვის და აგრეთვე მოაწყონ ცდების სახით თიხა-ცემენტის წარმოება, ფიბროლიტური მასალებისა, კალცინირებული და იმპრეგრენირებული თიხისაგან საკედლე ბლოკებისა, მიწა-და-თიხა—ბეტონის საკედლე მასალების დამზადება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის.

დაევალოს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიტს, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ა/კ. სამომხმარებლო-სამგასაღებლო ტრესტს, ა/კ. სარეწაო კოოპ. საბჭოს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დააფინანსონ ეს სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოები.

5. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს და ა/კსფსრ სახელმწიფო-საგეგმო კომისიას—მოახდინონ მტკიცე განსაზღვრა ა/კ. ნაგებობათა ინსტიტუტისა და საშენი მასალის ინსტიტუტის ა/კ. განყოფილების სამუშაოებში.

6. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნეს ა/კ. სამშენებლო ორგანიზაციების (ა/სფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველო, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული, ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი) მოხსენებანი მასალების საკეთებელ ეზოებში (დელოვოი დვორ) ახალი საშენი მასალის (უცემენტო ბლოკები, ლერწმეული ფილაქანი, დაწნეხილი კრამიტი, სატიხრო ფილაქანი და სხვა მისთ.) წარმოების გაშლის შესახებ.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ აღსრულების შემმოწმებელ კომისიებს—შეამოწმონ ანალოგიური მდგომარეობა რესპუბლიკების სამშენებლო ორგანიზაციების ხაზით.

7. აღსრულების შემმოწმებელი კომისია აფრთხილებს სამეურნეო სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, რომ ადგილობრივი საშენი მასალის მნიშვნელობის შეუფასებლობა ნაგულისხმევი იქნება როგორც ა/კსფსრ მშენებლობის ჩაშლა და რომ მათი ჩვეულებრივი განცხადება საშენი მასალის უქონლობის თაობაზე მხედველობაში არ მიიღება.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**
აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1932 წ. აპრილის 21.
ტფილისი.

მთავლიტი № 1688. **საქ.** სახკომსაბჭოს ხტამბა. დაკვ. 1400. ტირაჟი 1.400